კლდე

№ 32

2 გიორგობისთვე 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი, კლდე.



ერთ-ერთი სახელოსნო კრუპის ზარბაზნების ქარხანაში გერმანიის ჰესენში, საც მზადდება „პატარა“ ზარბაზნები.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. ომი და ჩვენი მატიანე.—**შამქორისა.** 2. ქართლი —**რ. გ—ესი.** 3. მასალები სამედიცინო კრებისათვის.—**მკვიდრისა.** 4. მწუხრის ჟამნობანი. Candide-ისა. 5. ჟურნალ-გაზეთებიდან. 6. ნ. ნიკოლაძის წერილი. 7. ბ-ნ ნ. დუბროვსკის.—**რ. გ-ესი.** 8. თეატრი და ხელოვნება.

ომი და ჩვენი მატიანე

II

ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადების შემდეგ ჩვენთვის ამ მსოფლიო ტრაგედიის ახალი, თუ შეიძლება ითქვას, ფაზისი დადგა.

ჩვენი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ პირობების გამო ის, შედარებით სხვასთან გადამეტებული, პირადი და ქონებრივი სამსახური, რომელსაც ვეწეოდით საერთო სახელმწიფოსთან, არ გვაკმარა ბედმა და ახალი მსხვერპლი და ზვარაკნი მოითხოვა ჩვენგან.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთ ოსმალოს სამხედრო მოძრაობა ჩვენი ქვეყნის საზღვარზე ატყდა, და თუმცა ჯერ ისეთი საპატიო საბუთი არა გვაქვს რა, მაგრამ შესაძლებელია ჩვენი ქვეყანა ომის ასპარეზად გადაიქცეს.

როგორც ჩვენმა ჟურნალმა, (№ 31—მეთაური) ისე სხვა ქართულმა გაზეთებმა გაითვალისწინეს ეს მოვლენა და შესაფერი რჩევა და დარიგებაც მისცეს ქართველ საზოგადოებას.*) ჩვენ არ გავიმეორებთ ამას, რადგან არა ვთვლით მემატიანის მოვალეობად. ჩვენი მოვალეობაა—აღვნიშნოთ ის, რაც უკვე მოხდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში, მომხდარ ამბებს კი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. თბილისის ბ ქუთაისის თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა დააარსოს ცხენოსანი და ქვეითი რაზმები, ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ საუნივერსიტეტო ქალაქებიდან უკვე გამოსწია მოხალისეთა რაზმების გასაძლიერებლად. ერთსაც და მეორესაც ჩვენთვის, ვიმეორებთ, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. თვითონ ფაქტი ჩვენის ახალგაზრდობის სამშობლოსაკენ წამოსვლისა გვიკარნახებს ჩვენს მომავალს მოქმედებას. ძვირფასია ჩვენთვის მიწა წყალი, წმიდაა ჩვენი კერა და აქედან ფეხის მოცვლა ყველა ქართველისათვის სიკვდილი და თავის მოჭრა უნდა იყოს! სამშობლოში უნდა შევხვდეთ ყოველივე გასაჭირს, თუ ბედმა გვარგუნა იგი, და სამშობლოშივე, მასთან ერთად მოვინელოთ იგი!

ეს ახალი შენაწირიც სამშობლოს წინაშე არის იმავე მაღალი მოქალაქობრივი საერთო გრძნობით გამოწვეული, როგორც პირველია. მათ, ვისთვისაც გათხსირებულ სინიდისს—გონება დაულშვია, და არ ხედავენ იმ წმიდა და დიდს ხსვერპლს, რომელსაც პატარა საქართველო სწირავს დიდ სამშობლოს, თავიც რომ გასწიროს საბოლოოდ—თვალებს, განგებ დაბრმავებულს, ვერ აუხილავთ, დაბნელებულ სინიდისს ვერ გაულვიძებთ, ვერც რაზმების დაარსებით, ვერც სხვა რამით. მაგრამ ჩვენდა სასახელოდ, როგორც წინა წერილშიაც გვქონდა მოხსენებული, ქართველ ხალხს, სულ სხვა წმიდა, ფაქიზი და ს ამაყო გრძნობა ამოძრავებს, გრძნობა თავის მოქალაქობრივ მოვალეობის შეგნებისა.

რაზმის დაარსება ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი ზედ მეტი მოქმედებაა, ზედმეტი, რადგან ჩვენი ტერიტორია, რომლის დასაცველად არსდება რაზმები, უნდა დაიცვას და უმთავრესად დაიცავს კიდეც ის საერთო სახემწიფო ძალა, რომლის რიგებში ასე ღირსეულად იბრძვის დღეს საქართველო, თავის საუკეთესო შვილების სახით.

მაშასადამე ამ ზედმეტ თავისუფალ ეროვნულ ძალას სულ სხვა ფასი უნდა დაედოს, მიეცეს საშუალება ღირსეულად მიიტანოს შეულახველი ეროვნული დროშა იმ საერთო ძმობისა და ეროვნულ თანასწორობის მომხიბლელ მდგომარეობამდი, რომელიც დაუსახა რუსეთს უმაღლესმა მთავარსარდალმა თავის ისტორიულ მანიფესტში პოლონელ ერის მიმართ.

თვით ფაქტი ეროვნულ რაზმის დაარსებისა და ქართველ სტუდენტობის სამშობლოსაკენ წამოსვლისა გვიჩვენებს გზას ჩვენი ეროვნული მოქმედებისას. ქვეყანა იგროვებს ძალას კარზე მოსულ უბე-

*) ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როცა „ახალ ივერიაში“ დაიბეჭდა, დღეგანდელ ნომერში გადმობეჭდილი ნ. ნიკოლაძის წერილიც.

დურობის თავიდამ ასაცილებლად და „ქუდზე კაციც“ რომ მოგვიხმოს, მოვალენი ვართ დავიცვათ სამშობლო კერა, ძვირფასი მიწა-წყალი.

ასეთია ჩვენი ეროვნული ძალის მსვლელობა. დღესაც ისეთივე მაღალი და კეთილშობილი თვისებების მოქალაქობრივი გრძნობით გამოწვეული, როგორც წინად აღნიშნული.

სხვა აზრი და სარჩული არა აქვს ამ მოვლენას. ძნელი საფიქრებელია, ვისიმე გულის მოგება ჰქონოდათ სახეში რაზმების დამაარსებელთ, რადგან ვისაც გული და სინიდისი იქამდის დახშული აქვს, რომ იმ ღირსეულ და თავგანწირულ სამსახურს, რომელსაც ეწევიან დღეს ქართველები ბრძოლის ველზე, არ ხედავს, რაზმები-კი არა მთელი ჩვენი სიცოცხლეც რომ სამსხვერპლო კოცონზე მივიტანოთ, ვერ დაინახავს.

მაშასადამე რაიმე ამ გვარ აზრს, არავითარი ადგილი არა უნდა ჰქონდეს ამ მოვლენის აღსნაში, მით უმეტეს, რომ დამაარსებელთ წარმოდგენილი ექმნებოდათ, თუ რა საჭირო ძალას აცლიან ხელიდამ ჩვენს ქვეყანას. ეჭვი არ არის, რომ უმთავრესად, შეიძლება ითქვას განსაკუთრებითაც კი, რაზმი თავად-აზნაურობით შეივსება, როგორც უფრო თავისუფალი და სამხედრო ტრადიციით სავსე კლასით. არაფერს ვიტყვით მათზე. ვინც გლეხკაცობიდან მოჰყვება რაზმს. მათი, როგორც მშრომელი კლასის, მნიშვნელობა ქვეყნისათვის, ცხადზე უცხადესია. თავად-აზნაურობის უმეტესობაც ის ელემენტი იქმნება, რომელმაც უკვე დაჭგმო კლასობრივი შეხედულებანი, შეურიგდა აუცილებლობას, უარაგდო რუტინული ტრადიცია, მოჰკიდა ხელი საქმეს და მეტად სასარგებლო და სიმპატიურ მუშაკად გადაიქცა, იქამდის სასარგებლოდ, რომ დღეს დაბეჩავებულ სოფლის წინმსვლელობის საქმეში საგულასხმიერო ინიციატივას იჩენს, თავში უდგება საამხანაგო და კოოპერატიულს დაწესებულებათ, მხურვალე გულით ეწევა საერთო საქმეს. უფრო მეტს დანაკლისს წარმოადგენს სტუდენტობა. მოსკოვში, პეტროგრადში და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში ქართველი ახალ გაზრდობა მოხალისეებად ასობით ჩაწერილა. აშკარაა, თუ რა არის ქვეყნისათვის რამდენიმე ასი ენერგიით სავსე, ახალგაზრდური ხალისით გატაცებული, კულტურული მომუშავე.

ყველა ეს, რასაკვირველია მხდველობაში ექმნებოდათ რაზმების დამაარსებელთ და საფიქრებელია ისიც, რომ ჩვენთვის ასეთ საჭირო და ძვირფასს ძალას შესაფერ ხვედრს და ღირსეულ სამაგიეროზედაც იზრუნავდნენ.

ასე შესძრა ჩვეულებრივ მყუდროებიდამ ჩვენი ერის ძალები ამ საშინელმა ომმა. არც სხვა რომელიმე მხარე ჩვენის ცხოვრებისა დარჩა მას ნიშანდაუდებელი, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

შამქორი.

„ქართლი“

კვირას, ყოფილ სემინარიის დარბაზში ღირს შესანიშნავი ამბავი მოხდა. აკურთხეს კოოპერატიული მაღაზია „ქართლი“, რომელიც გახსნა შუაგულ საქართველოს მეხილეთა საზოგადოებამ. ქართველ საზოგადოებას თამამად შეუძლიან სთქვას, რომ ჩაიყარა საფუძველი არა მარტო გორის მაზრის, არამედ მთელი ქართლის მეხილეობის აღორძინება-განვითარებისათვის. მკითხველმა კარგად იცის დიადი მნიშვნელობა კოოპერაციისა და ნათლად წარმოიდგენს თუ ეს ახალი საქმე როგორ ერთბაშად სცვლის ელფერს მთელი ქართლის პრიმიტიული მეურნეობისას, ნამეტნავად მისი დიდი ნაწილისას, სახელდობრ მეხილეობისას. დღევანდლამდის ერთად ერთი ფაქტიური პატრონი და მოგების მომხდელი ამ მშვენიერი დარგისა იყო—ბაყალი; ის ბაყალი, რომელიც უსაზღვროდ და უკონტროლოდ ჰყვლეფავდა მეურნეს, მწარმოებელს—ფასდაკლებით, რომ ისევე უსაზღვროდ და უკონტროლოდ ეყვლიფა მომხმარებელი—ფასის აწევით. ქართლის მდიდარი ბუნება, მისი გამრჯელი ხალხი დღეს ახალ გზას დაადგა და მისმა უნარმა, შეგნებამ მთელი ქართველი საზოგადოების თანაგრძნობასთან სოლიდარულად უნდა იაროს, რომ დასაწყისი კეთილი გაიზარდოს იმ დიად მიზნამდის, რომელსაც ჰქვიან საერთო კოოპერაცია მწარმოებელი და გამსაღებელი.

ქართლი, მთელი საქართველოს გულია და მისი აღორძინება ეკონომიური, მისი შეკავშირება ერთ ნიადაგზედ გამოიწვევს შეერთებას სხვა ნიადაგებზედაც და საქართველოს სხვა ნაწილებთანაც. ახალი საზოგადოება ახალი საქმით, თავისი მიზნებით გვაგონებს მეორე საზოგადოებას, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ამ ოცი წლის წინად კახეთში, —ეს გახლავთ საზოგადოება „კახეთი“, რომელმაც თავს იდვა მეღვინეობის საუკეთესო რაიონის გაერთიანე-

ბა კოოპერატიულის მიზნით. მართალია ეს საზოგადოება ბევრი ხელშემშლელი მიზეზის გამო გაიყინა ისეთ ფორმებში, რომელთაც ძირითადი ცვლილება სჭირიათ თვისი დიადი მისიის შესასრულებლად, მაგრამ მისი კეთილდღეობა ვგონებთ მაინც უზრუნველყოფილია. მისი ნაცადი კარგი სკოლა იქნება ახალ საზოგადოებისთვის, რომ აიცდინოს თავიდან შეცდომანი და ანოლოგიურ საქმეს უფრო ფართე და უფრო ღირსშესანიშნი გასაქანი მოუპოვოს.

ღვინის ბაზარი დღეს საუბედურო გაუქმებულია გაუგებრობის და უცნაურობის მიზეზით, დღეს შეზღუდულია ყოველგვარი ვაჭრობა, დღეს დაცემულია და კრიზისს განიცდის მეხილეობაც სხვა სამეურნეო დარგებთან ერთად და მით უფრო საგულისხმიეროა სწორედ ასეთ დროს მეხილეობის ამხანაგობის მოქმედება პრაქტიკულ ნიადაგზედ. ამხანაგობა ასაღებს იმ ხილს, რომელსაც გაუმაძღარი ბაყლები დღეს ჩალის ფასადღა ყიდულობენ მარტო იმ მიზეზით, რომ სარგებლობენ ომით. დღევანდელი პატარა საქმე, უნდა გაიზარდოს ისეთ მძლავრ კოოპერაციად, რომელიც შეაერთებდეს მთელი ქართლის მეხილეებს, რომ მომავალს ძლიერი ეკონომიური ორგანიზაციის სახით დახვდეს და დღევანდელი უბადლო კრიზისის რისხვა გაანელოს ცოტაოდნად მაინც.

მაგრამ ამ თეორიულად ძვირფასს საქმეს უნდა პრაქტიკულად დახელოვნებული ორგანიზაცია აუდგეს სათავეში, რომ საღმა პრინციპებმა ხორცშეესხან.

ჩვენ გულწრფელად უსურვებთ საქმის დამწყობთ ასეთი ორგანიზაციის შექმნას და თავიდანვე გვინდა რჩევა მივცეთ - ეს საქმეც არ გახადონ კერძო გაწამაწიის სარბიელად. გვინდა ორიოდე პრაქტიკული შენიშვნის მიცემაც, რომელთაც იწვევს უკვე გაკეთებული საქმე.

კვირანდელი კურთხევა უფრო სადემონსტრაციო ხასიათს ატარებდა, ვიდრე ნამდვილ საქმის ცოდნით გაჟღენთილ სურათისას. თვით მაღაზია მოუწყობელი და ცარიელი იყო და, როგორც ეტყობა, გარდა განსაზღვრული ხილეულობისა (თუმცა მართლაც მშვენიერისა) არც არაფერი გაიყიდება, რაც მეტად შეაფერხებს ვაჭრობას. მეორეც, ყველანი სახტად დასტოვა თავმჯდომარის უცნაურმა განკარგულებამ რომ არაფრის ყიდვა კურთხევის შემდეგ არ შეიძლებაო. ეს პირველივე არაკოლექტიური ნაბიჯი როგორღაც არღვევდა იმ საერთო აღფრთოვანებას, რომელიც გამოიწვია საქმის დაწყებამ და მღვდელის მშვენიერმა სიტყვამ.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საზოგადო საქმე, რომელსაც დიდი მომავალი აქვს უნდა საზოგადო კონტროლს ექვემდებარებოდეს და რაც შეიძლება მალე ფართო საზოგადოებრივ ხასიათს მიიღებდეს წევრთა საზოგადო კრების მოწვევით. ეს დიდი საქმე არ უნდა გაჰყვეს იმ შეცდომებს, რომელთაც არა ერთი ამისთანა დაწყებულობა დაღუპეს. ეს მით უფროა საჭირო, რომ აქამდის ყველა ქართული საქმე და ორგანიზაცია კოჭლობს არასაზოგადოებრივი ელემენტების ზეგავლენით.

კიდევ და კიდევ უსურვოთ ამ ნორჩ საქმეს კეთილდღეობა და დღეგრძელობა.

რ. გ.

მასალები სამეურნეო-რაციო კრებისათვის

(გაგრძელება)

მომხსენებელი ა. ე. ბერეზოვსკი უკეთებს ანალიზს მიწათ-მომქმედ დეპარტამენტის 1914 წლის ხარჯთ აღრიცხვის უმთავრეს თვისებებს და ამბობს: „1908 წლიდან დაწყებული მიწათ-მომქმედ დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა წლითი-წლობით იზრდება დიდის სისწრაფით და 1914 წელს ადის 34.927,461 მანეთამდე. 1914 წლის გასავალი 5.500,000 მანეთით აღემატება 1913 წლის გასავალს. გასავლის ასეთი გადიდება სოფლის მეურნეობის გულისათვის, რასაკვირველია, კმაყოფილების სასიხარულო გრძნობას გამოიწვევდა და არა სხვა რამეს, რომ ერთი მხრით სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განსაკუთრებული თვისებანი და მეორე მხრით კრედიტის გაღების წესი არა ჰხრიდეს ფიქრებს უნებურად პესიმისტიურ მოსაზრებისაკენა.“ ბ-ნი ბერეზოვსკი თავის მოხსენებას შემდეგი სტრიქონებით ათავებს: „საკითხები, რომელიც ეხება ბიუჯეტსა და გლეხთა მეკომურების ამნაზღაურებელ ძალებს, მიწათ-მფლობელობის პირობების შეცვლასთანა და გადასახლებასთან ერთად და იმ საშუალებებთან ერთად, რომელსაც ხმარობენ მიწის ნაკლებობასა და ნადელების სიწვრილმანესთან ბრძოლაში, თქმა აღარ უნდა, სრული და დაუღალავის ყუ-

რადღების ღირსია, როგორც ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებისა, აგრედვე მთავრობისა. მაგრამ ეს ასე არ არის, ნამდვილად გაზვიადებული არ გეგონოთ. ამ საკითხებს მხოლოდ ერთი-ორი ადამიანი თუ ეცნობება ხოლმე, ისიც ცნობისმოყვარეობის გამო, თორემ სხვა არავინ.

სად არის საორგანიზაციო საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ახალ მეურნეობის მოწყობასთან, და სტატისტიკური და ეკონომიური ცნობები, რომელმაც უნდა ჩვენ წარმოგვიდგინოს სოფლის ქონებრივი ევოლიუციის სურათი? განა ცოტაოდენ ყურადღებას მაინც აქცევს ვინმე? არა, მთავრობისა და ერობის თანამედროვე თანამშრომლობა თვალებს იხვევს ამ საკითხებზე, ვსტკბები მოჩვენებულ კეთილდღეობის ჭრელი სურათით, რომელიც არის გამოწვეული უხვად მოფანტული მოწყალეობით, რომელიც გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, სიმენტალისა და სხვა ხარების დარიგებაში, პროცენტიანი და უპროცენტო სესხის გაღებაში, გაცემაში და არგაცემაში, ხშირად ახალ მეურნეობის არარსებულ წინ წაწევის დაჯილდოვებაში და სხვ.

ჩვენ ეხლა გლეხთა მეურნეობასა და თვით გლეხთა წრის ღრმა ცვლილებას განვიცდით.

საჭიროა ამ პროცესის გაადვილება; ეს მაშინ არის შესაძლო, როცა ცენტრალური მთავრობა სრულ ნდობას გამოუცხადებს არამც თუ მარტო ერობას, აგრედვე ხალხსაცა. ცენტრალური მთავრობა მაშინ მიიღებს ქვეყნისაგან ნამდვილ დახმარებას, როცა შეჰქმნის ახალ თვითმმართველ ერთეულებს და რეფორმებს შეიტანს ძველ ერობაში და ამით განახორციელებს ზემოთ ხსენებულ ნდობას. სანამ ეს არ იქნება, მანამ ყოველნაირი მოსყიდვა და დაჯილდოვება მცხოვრებლების ცალკე ჯგუფებისა არაფერ სარგებლობას მოიტანს, და მხოლოდ მთავრობის შემოქმედებით იდეის უძლურების დემონსტრაცია იქნება.“

მომხსენებელმა ზ. კაცენელენბაუმმა (ავტორი ამ მოკლე ხანში მეორედ გამოცემულ შრომისა— „მელიორაცია, მელიორაციული ამხანაგობა და მელიორაციული კრედიტი რუსეთში“) მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საერთო კრებას თავის შრომაში—„მელიორაციული დეპარტამენტი და მისი 1914 წ. მოსაზრებანი“—შემდეგი მეტად საგულისხმიერო ცნობანი მიაწოდა.



გერმანული ჰაეროპლანი, წართმეული თავ. ერისთავისაგან.

ამ ხანად მიწათ-გაუმჯობესების განყოფილება, — ამბობს ბ-ნი კაცენელენბაუმი, – როდის არის ერთად-ერთი ორგანიზაცია, რომელიც უძღვება მთავრობის მელიორაციულ მოღვაწეობას. ამ ორგანიზაციასთან ერთად, მიწათა ძირიან-გაუმჯობესების საქმეს აკეთებს აგრეთვე 1909 წ. მიწათ-მომქმედ დეპარტამენტთან აღმოცენებული ორგანიზაცია საჭაობო კულტურის სპეციალისტებისა და ინსტრუქტორებისა, გადასახლების მომწყობთა უწყება, სატყეო დეპარტამენტი, სასოფლო ეკონომიის განყოფილება და სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა, რომელთანაც მელიორაციულ კრედიტის ფონდი არსებობს.

მაგრამ ყველა ამ დაწესებულებათა მოღვაწეობას მეორე ადგილი უჭირავს შედარებით იმასთან, რასაც აკეთებს მიწათ-გაუმჯობესების განყოფილება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ, ჩვენი მელიორაციული დეპარტამენტი.

უმნიშვნელო ხარჯებიდან დაწყებული, რომელიც რამდენიმე ასი ათასი მანეთით განისაზღვრებოდა, განყოფილების გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა 4-5 წლის განმავლობაში აყვანილია 13 ნახევარ მილიონ მანეთამდე, და რუსთა საზოგადოებისათვის არც ისე ინტერეს მოკლებულ საგნადა ხდება ის, თუ როგორ აპირებს ამ მილიონების დახარჯვას მიწათ მომქმედი უწყება,

მიწათ-გაუმჯობესების განყოფილების უკანასკნელი ხარჯთ-აღრიცხვის ინტერესი უფრო შესამჩნევად იზრდება შემდეგ გარემოების წყალობით.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო სათათბიროს სურვილი გამოსთქვა, რომ რომანოვების დინასტიის 300 წლის იუბილეს აღსანიშნავად მთავრობას დაეხარჯა უახლოეს წლების განმავლობაში 150 მილიონი მანეთი მელიორაციაზე და ამით დაედო სათავე ფართო მელიორაციულ შრომისათვის

სახელმწიფო სათათბიროს სურვილის შესაფერად, — მიწათ-მომწყობისა და მიწათ-მომქმედის მთავარ გამგეობას მიწათ-გაუმჯობესების განყოფილებიდან შეაქვს სათათბიროში კანონ-პროექტი სამელიორაციო საქმისათვის 150 მილიონ მანეთის გაცემის თაობაზე 1915—1919 წლების განმავლობაში შემდეგის ჯამების ჩვენებით:

1915	წლისათვის	— 15	მილიონი	მან.
1916	„	— 25	„	„
1917	„	— 30	„	„
1918	„	— 40	„	„
1919	„	— 40	„	„

150 მილიონი მანეთი განზრახულია დაიხარჯოს მიწათ-გაუმჯობესების განყოფილების ხელით, და ამგვარად განყოფილების 1914 წლის 14 მილიონიანი ხარჯთ-აღრიცხვა წმრმოადგენს სათავეს გრანდიოზულ ხარჯებისას, რომელთანაც შემდეგი წლების ხარჯები მჭიდროთ არის დაკავშირებული.

ამის წყალობით უფრო და უფრო იზრდება ინტერესი მიმდინარე ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც უთუოდ უნდა განხილულ იქმნას მელიორაციულ საქმეთა უწყების განზრახვებთან ერთად.

რაკი განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში დახარჯოს მელიორაციულ საქმეზე ას მილიონობით ხალხის ფული, მიწათ-მომქმედ უწყებამ უნდა, რასაკვირველია, იქონიოს დაწვრილებითი ორგანიზაციული გეგმა, უნდა მისხლივ მისხლივ იცოდეს, როგორ დაიხარჯება ეს მილიონები.

როგორც ჩვენ გვგონია მელიორაციულ საქმეთა ორგანიზაციული გეგმა უნდა შეიცავდეს სამ ელემენტს: 1) უნდა იყვეს ნაჩვენები, როგორ იქნება აგებული შიგანი ორგანიზაცია მთავრობის ტეხნიკურ ძალებისა და რა საფუძველით უნდა იმოქმედოს ამ ორგანიზაციამ; 2) უნდა იყოს გამორკვეული სხვა დაწესებულების, ერობისა, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა ღა თვით მცხოვრებლების როლი, და აგრეთვე უნდა იყოს ნაჩვენები, როგორი დამოკიდებულება იქნება, მელიორაციების წარმოების დროს, ერთი მხრით მთავრობისა და მეორე მხრით ხსენებულ დაწესებულებათა და პირთა შორის; 3) უნდა იყოს აღნიშნული, როგორ განაწილდება ხარჯები თვითეულ მელიორაციების შორის და რაიონების შორის.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, განაგრძობს ზ. კაცენელენბაუმი, მთელ რიგ გუბერნიებში არსდება საერობო მელიორაციული ბიუროები, რომელთაც, რასაკვირველია არ შეუძლიანთ მარტო პასიური მაყურებლები იყონ იმ საქმეში, რომელსაც სათანადო გუბერნიებში მთავრობის ინჟინერები მოიქმედებენ; ხომ უნდა რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეთ ამ საქმეებთან საერობო ბიუროებს, მაშასადამე, უნდა წინასწარ შემუშავებული იყოს მთავრობასა და ერობის შორის ურთი-ერთი დამოკიდებულების გეგმა ამ საქმეებში; ამასთანავე იბადება საქმეების ხელმძღვანელობისა და მოქმედების სფეროს განწილების საკითხი, თუ რა სახისა

უნდა იყოს თანამშრომლობა, რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ერობამ ფინანსების მხრით და სხვა კიდევ ბევრი ამისთანა. ყველაფერი ეს წინდაწინვე უნდა იყოს გამორკვეული და განსაზღვრული, რომ პირველ ნაბიჯების გადადგმისთანავე საქმისათვის მავნე მიხვლა-მახვლამ არ წამოყოს თავი.

ნაკლებად უმნიშვნელო არ იქნებოდა აგრეთვე, რომ გამორკვეულიყო თავიდანვე, რა როლი უნდა ეიკავოს მომავალ შრომაში თვითონ მოსახლეობამ.

მოსახლეობას არ შეუძლიან გულ-ხელი დაიკრიფოს და ისე უცქიროს მელორაციულ საქმეებს. ჯერ მარტო იმიტომ რომ ამ საქმეების წარმოება მიწის დამმუშავებლებისაგან დახმარებას მოითხოვს წყლისა და მათ მიწაზე საქმის წარმოების გადაწყვეტის მხრით. (ნებითი იქნება ეს გადაწყვეტილება თუ ძალდატანებითი).

ხარჯთ-აღრიცხვა გვიჩვენებს, რომ მიწათ-გაუმჯობესების განყოფილების მიერ 1914 წლისათვის ნათხოვნი 13 ნახევარ მილიონი მანეთიდან 6 ნახევარ მილიონ მანეთამდე მეტი, ე. ი. ნახევარის ოდენა ფული გადადებულია თურქისტანისა, ამიერ-კავკასიისა და ციმბირისათვის, უმთავრესად მებამბეობის რაიონების მორწყვის მოსაწყობად. ევროპის რუსეთის მიწების დაშრობისათვის და მორწყვისათვის კი თხოულობენ მხოლოდ 4 ნახევარ მილიონ მანეთსა.

უფრო მეტად უცნაური გამოჩნდა ამ გვარივე, —განაგრძობს ისევ მომხსენებელი,—150 მილიონიან ფონდის განაწილება; ამ ჯამიდან უწყებას განზრახვა აქვს შუა აზიის (ტრამალიან ოლქებში) და ამერ-კავკასიის მებამბეობის მიწების მოსარწყველად 62 მილიონი გადადოს, ევროპის რუსეთისათვის კი —35 მილიონი მან. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის საერთო მელიორაციულ საჭიროებათა შორის განაპირა ქვეყნების მორწყვას მებამბეობის განვითარებაში პირველი ადგილი არ უჭირავს.

მთავრობა თავის კანონ-პროექტით 62 მილიონ მანეთის დახარჯვას აპირობს თურქისტანისა და ამიერ კავკასიის მიწების მორწყვის მოსაწყობად და ის კი სრულიად ავიწყდება, რომ აქვე პეტერბურგის მიდამოებში ვრცელი დაჭაობებული ადგილებია, რომ ჩერნიგოვის გუბერნიაში 375 ათასი დესეტინა ადგილი სულ ჭაობებს უჭირავთ, სადაც უკიდურესი მიწის ნაკლებულობაა, საიდანაც ხალხი არამც თუ ციმბირში, ამერიკაშიაც კი გარბის, და სადაც დაშრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა.

ამგვარი გეგმა განა შესაძლოა, რომ სწორე გეგმად ჩაითვალოს? ეს 150 მილიონი მანეთი ისე უნდა განაწილდეს, რომ შესამჩნევი გავლენა იქონიოს საერთოდ ჩვენი სოფლის მეურნეობის ფეხზე წამოყენებაზე; ამისათვის საჭიროა, გადატანილ იქმნეს ხარჯთ-გაღების უმთავრესი ძალა მრავალ მილიონ უვარგის მიწაზე, რომელიც მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ ევროპის რუსეთში, თურქისტანისა და ამიერ კავკასიის უდაბნო ადგილების მორწყვა კი, რომელსაც არსებით მნიშვნელობა არა აქვს, უნდა მეორე რიგის მიზნად იყოს დასახული.

ზ. კაცენელენბაუმი ასე ათავებს თავის მოხსენებას: „მიწათ-გაუმჯობესების განყოფილების 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამ ამგვარად ჩვენ რაოდენადმე მოულოდნელ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ თუ თავი დავანებეთ მებამბეობის რაიონების მორწყვის საქმეს, რომელსაც მარტო ადგილობრივი და საერთოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, თუ თავს დავანებებთ აგრედვე მიწათ-მოწყობის რაიონების საქმეს, როგორც მეორე ხარისხოვანსვე, აღმოჩნდება. რომ მელიორაციებს (ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით) ხარჯ-ათღრიცხვაში ძალიან ცოტა ყურადღება აქვს მიქცეული.“

ჩვენ მოგვყავს ეს ზემო აღნიშნული ციტატები კომპეტენტურ ავტორების მოხსენებიდან, როგორც მეტად საინტერესო მასალა, რომელიც მიუდგომლად იქმნა გაშუქებული სახელმწიფო სათათბიროს წევრების მიერ, და გვინდა ამით ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრი ნორმალურ ჩარჩოებში მოვაქციოთ, რომ ადვილად შესძლოს განზრახული სამელიორაციო კრების საფუძვლის და უმთავრეს მიზნების შეთვისება.

მკვიდრი.

ᲛᲬᲣᲮᲠᲘᲡ ᲣᲐᲛᲝᲜᲐᲜᲘ

ლურჯ ზეცასა სარკმლით ვუმზერ, ზეაცს ვარსკვლავთ ხელით ნაქსოვს,
მაგრამ ფასი მის შვენების დამკარგვია, აღარ მახსოვს;
ირგვლივ ბნელა... ციაგთ რკალის ხხივოსნობა არა ნათობს,
მზე არ მზეობს, თითქოს თბილა, მაგრამ სითბო თვით არ მათბობს.
უცხო ქვეყნად მოწყვეტილი ველარა ვპვრეტ მშობელ მხარეს,
მოვკლებივარ მისსა ალერსს, დღეს განვიცდი მეტად ცხარეს,
ეჰა, ვარდმა ვით ივარდოს? ზამთრის სუსხზე ვით აჰყვავდეს?
ცრემლი წამწამს დაულტობდეს, წამწამი კი თვით ცრემლს სვავდეს!..
ტკბილო ხსოვნავ, აგერ შენი სახე ნაზად მოციმციმებს,
გეხუტები, შენც მიცინი და თან მასმენ ოქროს სიმებს,
შენს საღმრთო თმებს ყელზე ვიხვევ ვით ზამბახი ცვართა მძივებს,
ცისკროვნებ და მეც მაცისკრებ, ვექსოვებით მზის ცეცხლ სხივებს!
მაგრამ გაჰქერ, გარდავიქმენ კლდის მონაკვეთ მღვიმის კარად,
ღვთის ხატებად შენა გსახავ და გევლები თავს კამარად,
და, ვით მწირი ლოცვად მდგარი ფილაქანზედ თავს სცხებს მარად,
ისე გიმზერ მუხლ-მოყრილი, ლოცვას მივლენ ციურ ზარად.
აჰა, გულში მოვამწყვდიე, ბასრ კლანჭება მთის არწივი,
სისხლით ნელ-ნელ ვასაზდოვებ, მაგრამ არ ვკვნეს ბრმად არ ვწივი,
უდაბნოდა გარდავიქმენ, ვმოგზაურობ როგორც მწირი,
უსიკოცხლოდ მოსიცოცხლე, ბრმა ბედისგან განაწირი.
გულის ფიცარს, ვით კუბოს კარს, დამხვევია სევდის ჩრჩილი,
მღრუტნის, ყრუ ღრღნა ყურში მესმის, გადმეფარა თავზე ჩრდილი,
სადღა ვნახო კვლავ სიამე? სადღა ვნახო ია შლილი?
ჭირმან ადრე მისაფაროს ობლობისა პირმშო შვილი.
თმა გლეჯით ჰქრის ქარიშხალი და გუნდრუკად ჩემს სულს აკმევს,
სასძლოს ხელით ნაქსოვს სამოსს საიდუმლო თალხად მაცმევს,
რწმენას მტაცებს, ცხოველ რწმენას, სანთლით გინთებს შენ—ღმერთთა-ღმერთს,
და მჭკნარ ღაწვზე მოაცურებს ათრთოლებულ მის ცრემლთა ღვენთს!
სიჭაბუკის ქალწულ სიბრძნეს სევდა აცმევს კაბა თხელსა,
ყრმა მოვხუცდი. ცად ვერ ვაპყრობ სასოების მთრთოლავ ხელსა,
მიდის ღამე... დღე... კვლავ ღამე... ვეთვისები სარეცელსა,
ჩემგან შეკრულ წმინდან კუბოს დავაწვეთებ ცხარე ცრემლსა.
ვინ მომხადოს ცრემლთ პირბადე ნიავ-ქარის მჭრალ სახოცით!
გული გულად ვით ავამყნო, თუ არ უძრავ ჭირთ აღხოცვით?
მაგრამ, ეჰა, გაჰქრა ესეც! მის ნაშთს ვმურავ ვალსამოსით,
სასოების სასოებას ჩემებრ ვკვალთავ შავ სამოსით!
ლურჯ ზეცასა სარკმლით ვუმზერ, ზეცას ვარსკვლავთ ხელით ნაქსოვს,
მაგრამ ფასი მის მშვენების დამკარგვია, აღარ მახსოვს,
ირგვლივ ბნელა... ციაგთ რკალის სხივოსნობა არა არა ნათობს,
მზე არ მზეობს, თითქოს თბილა, მაგრამ სითბო თვით არ მათბობს.

Candide.

ბრიუსელი
12 ოქტომ. (ახ. სტ.)

ქართველი თავადაშვილი, ნახატი ეისნერისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ეხლანდელმა ომმა გამოიწვია ლაპარაკი ყოველ პატარა ერზედაც კი, რადგან ეროვნული პრინციპი და გრძნობა ლეიტ-მოტივად გადაიქცა მსოფლ-მხედველობათა ბაზარზედ. მხოლოდ ქართველ ერზედ არსად არაფერი იწერება, არც არავინ ახსენებს, გარდა ისევ თვით ქართველებისა. ჩვენ თვითონვე კი მრავალ ლაჟვარდოვან იმედებს ვამყარებთ ამ ომზედ და ეს იმედები სხვა და სხვა ქართველების გამომეტყველებაში, სხვა და სხვა ელფერს იღებს. მოგვყავს ერთი ახალი, ჯერ უცნობი, ორიგინალური იმედი, რომელიც დაბეჭდა ვინმე „ვანო ზირბიტელმა“ (?) „რუსკ. ვედომოსტში“:

ომი და ქართველები.

საქართველოს ბჭეზედ ომი იწყება. ოსმალეთმა მტრული მოქმედება დაიწყო რუსეთისადმი. ბერძენ-ლად არ უხდებათ ქართველებს ოსმალებთან ბრძოლა. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, საქართველო იგერიებდა ოსმალებს და იწრთობოდა ბრძოლაში. ხშირად და ბევრს განიცდიდა საქართველო ოსმალეთისაგან, მაგრამ ხშირადვე ოსმალოს ჯარი დამარცხებული იყო და უკუქცეული.

საუკუნეთა მსვლელობაში საქართველომ ბრძოლით შეინარჩუნა ხელუხლებლად თვისი საუნჯენი — დამოუკიდებლობა, ენა, სარწმუნოება და ჩაბარა თავისი ბედი რუსეთს. ეს წელიწადზედ მეტია ქართველები მონაწილენი იყვნენ რუსეთის ომისა ოსმალებთან და ეხლაც, ახალ ომში, ღვთის და გამარჯვების იმედით ქართველები სიამაყით გრძნობენ, რომ მათ სამშობლოს უხდება ბრძოლა რუსეთის წინა რიგებში. მაგრამ ამ ომს ქართველებისათვის სხვა დიდი აზრიცა აქვს. მთელი საქარ-

ოველო არ შედის რუსეთის იმპერიაში: მთელი სამხრეთი ნაპირი შავი ზღვისა ტრაპიზონამდე დასახლებულია ლაზებით. ეხინი ქართველები არიან დიდი ხნიდანვე ჩამოშორებულნი საქართველოს ოსმალებისაგან. ისინი უკვე გამაჭმადიანებულნი არიან, მაგრამ ქართველებად დარჩნენ, რადგან შეინახეს ენა, ჩვეულებანი და სხ. მათ არა ერთხელ მოუგონებიათ თავიანთი თავი ქართულ პრესაში.

ეხლა მათთვისაც დადგა საათი, როდესაც მთელი ქართველობა შეერთდება ერთ ოჯახად. დღეს ისინი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან, და ხვალ ქართველ პატრიოტებად დარჩენილნი, — ისინი რუსეთის ერთგული მოქალაქენი იქნებიან...

——

კვირას 12 საათზედ ახალ კლუბში დანიშნული იყო კრება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისა და რაღაც უცნაურობის გამო გადადებულ იქმნა შემდეგი კვირისათვის. თუმცა საზოგადოება ბლომად დაესწრო და კიდევ მეტი იქნებოდა, რომ ნახევარი საათი შეეცადნათ ამხანაგობა „ქართლის" კურთხევიდან მოსულ ხალხისათვის. ასეთი უცნაურობანი, საუბედუროდ ბევრია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



ოსმალელი მილიციონერი

ნ. ნიკოლაძის წერილი

1877 წლის თარიღით ძველ გაზეთ „დროებაში" შემდეგი წერილია დაბეჭდილი ნ. ნიკოლაძისა. წერილი გამოწვეულია მაშინდელ რუს-ოსმალეთის ომის გამო და მცხოვრებთათვის ეხლაც არ არის ინტერესს მოკლებული.

ეხლა ჩვენ იმაზე უნდა დავფიქრდეთ, თუ მომავალის ომის დროს როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი საზოგადოება.

— „ამას რაღა ფიქრი სჭირიაო — იტყვის მკითხველი, — განა საქართველო ომში გამოუცდელიაო, განა ჩვენ ან ჩვენ წინაპრებს ომი არ უნახავსო, განა ჩვენში ყველამ არ იცის, რომ ომის დროს კაცმა ლეკურს ხელი უნდა გაუსვას და მტერს კუდით ქვა ასროლიოსო!"

მართლაც, უწინდელ დროში, როცა ჩვენ ქვეყანას მტერი მოადგებოდა, ჩვენში ყველანი იარაღს ხელს ჰკიდებდნენ და მტერს თავზე ესხმოდნენ. კაცი და ქალი, დიდი და პატარა, მოხუცი და ბავშვი, მღვდელი და ერის კაცი — საზოგადოთ ბრძოლაში ყველა მონაწილეობას იღებდა. ვისაც იარაღის ხმარება არ შეეძლო ის ჯარს საზრდოს უზიდავდა, ან მტერს გზებს უხდენდა, ანა და მისგან დაკავებულ სოფლებს ცეცხლს უკიდებდა. გაქცეულს მტერს კი ხომ, მთელი ქვეყანა თავზე ესხმოდა ასაკლებლად და გასაგლეჯად.

იმ დროს ომი ისეთი ბრძოლა იყო, რომელშიაც პირდაპირ მონაწილეობას იღებდა ორივე მოწინააღმდეგე ხალხი: მთელი ერთი ხალხი მთელ მეორე ხალხს შეეტაკებოდა. დედაბერზე უარესად ითვლებოდა მაშინ, ორივე ხალხის თვალში, ის, ვინც ომს ერიდებოდა, და ომში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა.

ეხლა კი ომი სულ სხვანაირ სურათს წარმოადგენს. ეხლა ომი **დუელია ორ** სახელმწიფოს შუა. ორივე ხალხი გზავნის საბრძოლველად თავთავის ჯარს, და **ომში მარტო ამ ჯარებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.**

1874-ში ჩვენმა ხელმწიფემ ისურვა ხალხისთვის ომების სიმძიმის შემსუბუქება. ამ განზრახვით ჩვენმა მმართებლობამ მოიწვია ბრიუსელში კონფერენციაზე ყველა სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები, და წარუდგინა მათ გასასინჯველად მისგან შედგენილი „პროექტი **ომის კანონების და ჩვეულებისა.**" ევროპიელი სახელმწიფოების წარ-

მომადგენლებმა გასინჯეს რუსეთის პროექტი, შეასწორეს. შეავსეს, და შეადგინეს საზოგადო **„დეკლარაცია“**, რომელიც დღეს თითქმის ყოველგან კანონად ითვლება. ეს დეკლარაცია, რომელსაც ეწოდება **„ბრიუსელის დეკლარაცია 27 აგვისტოს 1874 წლისა“**, თავის დროს გამოცხადებული იქმნა რუსეთში, მმართველობის მხრით, „Правительственный вѣстникъ“-ში. დღეს ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ გავახსენოთ ჩვენ საზოგადოებას ამ დეკლარაციის ზოგიერთი მუხლი.

დედა აზრი ამ დეკლარაციისა იმაში მდგომარეობს, რომ ჯარი, რომელიც შედის მოწინააღმდეგეს ქვეყანაში, არ უნდა შეეხებოდეს არც მშვიდობიან ხალხს, არც კერძო პირების ქონებას. ამ ჯარს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ ის, რაც თვითონ მმართველობას ეკუთვნოდა: ხაზინის ფულები, არსენალები, იარაღი, ყაზარმები, და აგრედვე რკინის გზები, თოფ-იარაღის ქარხნები, რომელნიც სხვა და სხვა საზოგადოებათ ეკუთვნიან. სასწავლებლები, ჰოსპიტლები, ეკლესიები და სხვა ამგვარი კაცთ-მოყვარე ან სამეცნიერო დაწესებულებანი, თუნდა მმართველობის საკუთრებასაც შეადგენდნენ, მაინც ხელუხლებლად უნდა დარჩნენ, ისევე როგორც საკუთრება ქალაქებისა, სოფლებისა და კერძო პირებისა (მუხლი 6, 7 და 8).

მეომრათ იცნობა ის პირი, რომელიც ეკუთვნის მეომარ ჯარს. მილიცია (ოპოლჩენიე) და ვოლონტერების რაზმები მარტო იმ შემთხვევაში იცვნებიან მეომრად

ა) როცა იმათ მოთავეთ ანუ უფროსათ იმისთანა პირი ეყოლებათ, რომელიც პასუხისმგებელი იქმნეს თავისი ხელქვეითების მოქმედებისა;

ბ) როცა იმათ მითვისებული ექნებათ ისეთი ფორმის ნიშანი, რომელიც შორიდან ადვილად გასარჩევი და დასანახი იყოს;

გ) როცა იმათ იარაღი აშკარად, და არა დამალულად ექნებათ დაკიდებული;

და დ) როცა თავიანთ სამხედრო მოქმედებაში ისინი მტკიცედ დაიცვენ ომის (ესე იგი დეკლარაციის) კანონებსა და ჩვეულებას (მუხლი 9).

მარტო ამ გვარი პირები ითვლებიან მეომრად, და მარტო მათზე გავრცელდება „დეკლარაციის“ დებულება სამხედრო ტყვეებზე. ყოველი პირი, რომელიც ჯარს ან ამგვარ მილიციას არ ეკუთვნის, და ისე ომში გაერევა, ან გზას წაახდენს, ან ტელეგრაფს, ან ჯარს ეწინააღმდეგება, ან სხვაფრივ როგორმე გამოიჩენს ბრძოლის სურვილს, სასტიკად და განურჩევლად ადგილზევე დასჯილი იქნება...

„დეკლარაციას“ მარტო ერთ შემთხვევისთვის პატივი უცია, და მარტო ერთის მხრით მიუცია ხალხისთვის ბრძოლაში გარევის უფლება აი რას ამბობს დეკლარაციის **მეათე** მუსლი: „მცხოვრებნი ჯერ კიდევ დაუკავებელი მხარისა (ადგილისა), რომელნიც მტერის მოახლოვების დროს **თავის ნებით** დაიარაღდებიან მტერის საწინააღმდეგოდ, და რომელნიც, თანახმად მეცხრე მუხლისა, მომზადებას ვერ მოასწრებენ, **უნდა ჩაითვალნენ მეომარ მხარედ**, თუ კი ისინი ომის კანონებს და ჩვეულებას მტკიცედ დაიცვენ“.

დანარჩენი მუხლები ბრიუსელის დეკლარაციისა შეეხება სხვა-და-სხვა წვრილმან შემთხვევას. ჩვენთვის კი აუცილებლად საჭიროა დავიხსომოთ ის მუხლები, რომელნიც ზემოდ გადმოვთარგმნეთ.

ეხლა, ამ მუხლებიდამ, ჩვენ აი რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ.

სადაც უნდა იყოს ბრძოლა და ომი, შიგ არავინ უნდა გაერიოს, გარდა იმ პირებისა ვისაც ჩვენი მთავრობა მოუწოდებს და რაზმში ჩააყენებს, იარაღის და ფორმის მიცემით.

რკინის და უბრალო გზებს, ხიდებს, ტერეგ-



მოტორებით გადაზიდვა გერმანულ მძიმე არტილერიისა.

რაფს, სამხედრო ბარგს, ჩვენი იყოს, გინდ მტრისა, სრულიად არავინ უნდა შეეხოს, გარდა იმ პირებისა, რომელნიც ჯარში ჩარიცხულნი არიან.

ვინც ჩვენგანი ჯარში ჩარიცხული იქნება, იმას ნიადაგ უნდა ახსოვდეს, რომ მტრის კერძო საკუთრებას ის ხელს არ უნდა ახლებდეს, თორემ სასტიკად იქნება დასჯილი.

და თუმცა — სტრატეგიული საჭიროების მიხედვით — მთავრობამ ისურვა ზოგიერთ ჩვენ საზღვართან მახლობელი სოფლების უჯაროდ დატოვება, ჩვენ ხალხს სრული უფლება აქვს დაიარაღდეს და რაზმად ჩადგეს იმ განზრახვით, რომ წესიერება დაიცვას და მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს, ავ ცარცვის ნება არავის მისცეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საჭირო იქნება, რომ დაიარაღებულმა ხალხმა რამე ფორმის ნიშანი მიიღოს და თავი-კაცები აირჩიოს, წესიერების დამცველად, რაზმის გასაწვთრნელად და „ომის კანონების და ჩვეულების“ მტკიცედ შესანახავად.

ერთი საზოგადო კანონიც ყველამ გულში ღრმად უნდა ჩაინერგოს: ომიანობის დროს ცარცვა და გლეჯა, ჯარის ან კერძო-პირების საკუთრების შეხება, სამხედრო ამბების მიტან-მოტანა ითვლება ისეთ საშინელ დანაშაულად, რომლისთვისაც დამნაშავეებს ოც-და ოთხი საათის განმავლობაში სიკვდილით სჯიან. ჩვენი ხალხი ყოველ ამნაირ საქციელს მარტო სიკვდილით დასჯის შიშის გამო კი არ უნდა ერიდებოდეს: ამგვარი საქმეები სანიადაგოთ თავსა სჭრიან მთელს ხალხს, და საზიზღარ სახელს უგდებენ მთელს ქვეყანას დანარჩენ დედამიწაზე. ყოველს ქართველს მტკიცედ უნდა ახსოვდეს რომ ომის დროს მთელი ევროპის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე აქნება მიქცეული. როგორც რუსეთის, აგრეედვე ევროპის თვალში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსან და რაინდულ ხალხად, იმისთანად, რომელიც პატივისცემის ღირსია სამხედრო მამაცობისათვის, და ხეირიანი განწყობილების ღირსია მოქალაქობრივი პატიოსნების და წესიერების დაცვისათვის. ერთი სიტყვით, ნუ დავიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდი პატივცემულ სახელს, ნუ გაურევთ ბრძოლაში ნურც ავაზაკობას, ნურც სიმხდალეს; ნუ ვეძებთ პირად სარგებლობას, ნუ დავივიწყებთ ურთი-ერთის დახმარების საჭიროებას, ნუ დავიმალვით სოროში: მაშინ ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს, და მტერსა და მოყვარეს დაანახვებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილ-დღეობის ღირსია.

ვიმეორებთ, რადგან დღეს, ომი თუ იქნა, მთელი ქვეყნის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე და ხალხზე იქნება მოქცეული, ჩვენი მამულის ყოველმა ერთგულმა შვილმა ყველაზე უფრო იმაზე უნდა იზრუნოს, რომ მთელმა ქვეყანამ საქართველოზე აი ამ გვარი შთაბეჭდილება შეიდგინოს და ამ გვარი აზრი იქონიოს... (,,ახალი ივერია“).

ბ-ნ ნ. დუბროვსკის

ჩვენ სირცხვილად კი არ მიგვაჩნია, ვამაყობთ იმით, რომ ნაციონალისტები ვართ და თუ ამ ნაციონალისტობაში ბ-ნნი დურნოვსკები ობიექტივიზმის დამარხვას ხედავენ და ჩვენი საღი ნაციონალიზმის და „რუსკოე ზნამიას“ სულისკვეთების შორის განსხვავებას არა გრძნობენ — სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ დუბროვსკიც იმ ბანაკშია, რომელსაც სურს არა სოლიდარობა, არამედ გათქვეფა ერებისა. სოლიდარობა შესაძლებელია **ცალკე** პიროვნებათა და ორგანიზმთა შორის, მაშინ როდესაც გათქვეფა გულისხმობს აღრევას და საერთო ორგანიზმის შექმნას. ბ-ნმა დუბროვსკიმ ამ მთავარ საკითხზედ პასუხი არ გაგვცა და დიდი წერილი იმას მოანდომა, რომ საკინკლაო ფრაზებს გამოუდგა, რაც მის არა შესაფერებელ საქმედ მიგვაჩნია. როგორც ობიექტიურს და დარბაისელს ადამიანს, მას არ უნდა გაემწვავებინა ის მდგომარეობა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის. თორემ აბა რა სათქმელია მაგ. ასეთი ფრაზა: „კლდეს“ არ შეუძლიან მოიყვანოს არც ერთი ისეთი საბუთი სომხების წინააღმდეგ, რომელიც არ მოიპოვებოდეს ,,ნოვოე ვრემიას ‘ არსენალში‘‘. ჯერ ერთი ეს უბრალო ლანძღვაა; ,,ნოვოე ვრემიასთან‘‘ შედარება და ლანძღვა საბუთი არ არის და მეორეც სომხების წინააღმდეგ კი არ იყო ჩვენი .,შვიდი კაპიკი‘‘, არამედ იმ ქართველების წინააღმდეგ, რომელნიც ფულად ჰყიდიან თავის ქართველობას. ჩვენ არ გვინდა დავასახელოთ ეს პირები, რადგან დაუსახელებლადაც კარგად იციან თვითონ, ვინც არიან. მეორე ხაზგასმული თავის მართლება ბ-ნ დუბ-

როვსკისა იმაშია, რომ იგი თურმე ამბობდა, რომ ნაციონალისტები და შოვინისტები გამოდიოდნენ **ერთიერთმანეთის წინააღმდეგ**, მაშასადამე მე ვლაპარაკობდი ორივე მხრის შოვინისტებზეო. ბ-ნ დუბროვსკის ტყუილად ავიწყდება, რომ დიდი მნიშვნელობა იმას კი არა აქვს მხოლოდ, თუ რას ამბობს ადამიანი, არამედ უმთავრესად იმასაც თუ **სად, როდის და რაზედ** ამბობს ამას. და პირველ ჩვენ წერილშიაც სწორედ ამას მივაქციეთ ყურადღება. იგი სწერს შოვინიზმზედ სომხურ გაზეთში და ამის გადათქმას ქრისტელმერთიც ვერ მოახერხებს, იგი სწერს მაშინ, როდესაც ჩვენი წერილი პასუხი იყო ზოგიერთი სწორედ „კავკ. სლოვოს" შოვინისტური და უარესი ამბებისაც, რომელთაც სამხედრო ცენზურამ ყადაღა დაადგა და მესამეც, დუბროვსკიმ მიზანში ამოიღო **ჩვენი**, „შვიდი კაპიკი" ბ-ნ უნდა დაარწმუნოს მკითხველები, რომ ეს თურმე ერთიერთმანეთის წინააღმდეგ გამოსულ სომხის და ქართველი შოვინისტების დასაგმობი წერილი იყო.

ამას დავიჯერებდით მაშინ, როდესაც ბ-ნი დუბროვსკი გაჩერდებოდა თავისი წერილის საზოგადო მოსაზრებათა ნაწილზედ და არ ჩაურევდა სიტყვას კონკრეტიულად არსებულ „შვიდ კაპიკზედ", —სიტყვას, რომელიც „ერთი კოვზი კუპრივით" სწინს აძლევს დუბროვსკის წერილის მთელ ობიექტიურ თაფლსა.

შემდეგ დუბროვსკი უფრო შორს მიდის და ამბობს, ვითომ ჩვენ ვგმობდეთ **საზოგადოთ** ქართველების თანამშრომლობას თუნდა სომხურ პრესაში. არა, ბატონო, ეს შეცდომაა, ჩვენ ვგმობთ არა ამას, არამედ იმათ, ვინც ქართულ ინტერესებსა ჰყიდის საზოგადოთ, ითანამშრომელებს იგი სომხურ, ქართულ თუ ჰოტენტოტურ პრესაში—ეს სულ ერთია. თორემ, იმათ, ვინც ჩვენს ინტერესებს იცავს თუნდ იმავ ჰოტენტატურ პრესაში—ჩვენ ვერ დაგმობთ, ეს თქვენი საკუთარი შეცდომა არის და სხვა არაფერი. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით ბ-ნი დუბროვსკი გულწრფელი კეთილის მსურველია ქართველი ერისა და სწორედ ამან გაგვაკვირვა, რომ დღეს, როდესაც ატმოსფერა სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა დაწმენდილია, იგი ხმას იმაღლებს და ამბობს, ხაზს უსვამს ქართველების შოვინიზმს, რომელიც მან აღმოაჩინა ჩვენს წერილში „შვიდი კაპიკი", რომელიც თურმე **ჩვენ** გვარცხვენს. ბ-ნო დუბროვსკი, ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავსო (побойтесь Бога!).

ერთი უცნაურობაც: ჩვენ საპასუხო წერილში სოლიდრობის **დარღვევა** არ დაგვიწამებია დუბროვსკისა ან „კავკ. სლოვოსათვის"—ეს უბრალო შეცდომაა, ჩვენ ვამბობდით, რომ „კავკ. სლ." **აღრევის** პრინციპით ხელმძღვანელობს და არა სოლიდარობისა და ბ-ნ დუბროვსკის ეს **აღრევა** ალბად **დარღვევად** წაუკითხავს: აქედანვე წარმოსდგება ალბად ისიც, რომ თვით სომხებსაც არ მოსწონთ „კავკაზსკოე სლოვოს" პოზიცია, რადგან ყოველ შეგნებულ ერს შეგნებულად სურს **თვისი** ეროვნული, ინდივიდიალური სახის ჩამოყალიბება და არა ათქვეფა რაიმე საერთო ახალ სახეში.

რ. გ.

თეატრი და ხელოვნება

განავგრძოთ თუ არა სათეატრო სეზონი.

აგერ ორი კვირაა, რაც ქართ. დრამ. საზოგადოება კრებებს მართავს სათეატრო კითხვებიან გადასწყვეტად. მისგან ახმაურებული საზოგადოება ეურსა სტქვეტს. წარმოიდგინეთ, მორიგ ჰოლიტიკურ და სოციალურ კითხვებთან ერთად დღეს დიდი ინტერესით ეშურობა საზოგადოება ქართულ თეატრსაც. თქმა არ უნდა, ეს ამტკიცებს ჩვენს სიფაქიზეს, ჩვენს ესთეტობას. ეს ერთის მხრით საქებურიც არის. მაგრამ როდესაც თავლს გადავლებთ კრებებს, როდესაც დაჭვედავთ ორატორთა თავშეუკავლობას, ხშირად ეკინჩიღათა კინკლაობამდე გადასულ შეჯავახებას, მაშინ უნებურად ფრთები გცვივთ, განცვიფრებას ეძლევიო და ეკითხებით თავს, ნეტავ ეს ხალხი მთავრიდან ხომ არ ჩამოსულან, რომ ერთმანეთისა არა გაგებათ რა და ა. ც. ს. ო. გაიგონ. დრამ. საზ. გამგობის წევრნი გადაჭრით აცხადებდნენ, ჩვენ ადარ შეგვიძლიან სეზონის გაგრძელება რადგანაც ფული არ არისო, ჩვენ ბევრი რამ დამტირება ავიტანეთ, დიოგენის ფარნით ვეძებეთ სადაც კი შესაძლებელი გვეგონა, მაგრამ წეეული ფული ვერსადა ვნახეთ, თითქოს განგებ გვემალებაო. უფულოდ კი რა გაკეთებულა, რომ ეხლა გაკეთდეს? განა არ დავინახეთ, რომ ამ მიზეზების გამოისად თეატრი ვერ დაგვიქარაკებია ისეთ ხელსაყრელ პირობებში, რომ მსახიობთ ორჯელ რეპერტიციების გამართვა შეეძლოთო. თქმა **არ** უნდა, ეს ვერ შესძლებს, რომ განზრახული ბიესა სასურველად დასდგას სტენაზე. საზოგადოებაც ასეთ წარმოგენებით გულს იტრუებს, არ ესწრობა და დეფიციტით თავდება თვითეული მათგანი. აი, ბ-ნებო, მოიდეთ წესლობა, მიგვითითეთ, გვაჩვეთ

გზა და ჩვენც ეოველ ღონეს ვიხმართ, რომ სეზონი გაგრძელდესო. მერე რა მოხდა? იმის მაგიერ, რომ ამ კითხვას სერიოზულად ჩაჰკვირვებოდნენ, მოჰყვნენ ბატონო ჩემო, დანძღვას, ბირად ანგარიშებს. მსახიობნი თავის იქნებ სამართლიან პრეტენზიას აცხადებდნენ, რომ ახალი გამგეობა ამოვარჩიოთ და ის გვიშველის ეველ-ფერშიო. მაგრამ სად არის გარანტია, რომ ახალი გამგეობაც ისევ დაკუთვნილ გზას არ მიჰმართავს, ვთქვათ, თუნდა ისევ ებად აღებულ თავად-აზნაურობას; მაგრამ ხომ გამოირკვა, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას ზედმეტის გაღება ადარ შეუძლიან: ანგარიში მომავალ წლის პირველ იანვრამდე უკვე შესრულებულია. გამოირკვა ისიც, რომ თეატრისთვის საჭირო თანხა უკვე მოხმარებია დანიშნულებას. ესეც არ იეოს, ჩვენ უნდა გვცოდნოდა, რომ დღევანდელ მომენტში თვითეული კეთილიც ძვირფასია, მეცენატობისთვის ადარ სტალიან ხალხს. ვიმეორებთ დღეს, როდესაც ცხოვრებამ უეერო შემზარავი საკითხები წამოაეენა, ვიდრე თეატრია. ხალხი გადატკვდა, ხალხი შინ და გარედ შვილს თხოულობს. და იქ, სადაც კუჭისა და გულის წყლული წამალს ითხოვს, ესთეტიური კითხვები მეორე ხარისხზე უნდა იევეს დაეენებული. მართალია კომისია იქმნა ამორჩეული ფულის საშოვნელად, შეიძლება ისიც, რომ მართლა საჭირო თანხა იშოვნონ სეზონის გასაგრძელებლად, მაგრამ... სადამდინ იქნება ეს „გაგრძელება“ ამას ახლო მომავალი დაგვიმტკიცებს. მეორეც, არა ნაკლებ საგულისხმიერია ის ფაქტი, რომ დღე-დღეობით **არსებულ გამგეობასა და დასს** ერთად მეშობა არ შეუძლიანთ. ეს ცხადი იქმნა კრებებიდან. კამათიდან აშკარა შეიქმნა ურთიერთისადმი უნდობლობა გამგეობის თავმჯდომარემ ხომ სულ დაჰკარგა წონასწორობა და უტაქტობით დამსწრეთა აღელვა. და საკვირველია, რაში დასჭირდათ კომისიის ამორჩევა ფულის საშოვნელად, როდესაც გამგეობის ერთ-ერთ წევრისაგან ნათლად იეო ნათქვამი: „გინდაც ფული იშოვნოთ, ჩვენ ვერ განვაგრძელებთ სეზონსაო“. ნუ თუ ეს ფრაზა საკმარისი არ არის, რომ ამ პირობებში მართლაც, შეუძლებელია სეზონის გაგრძელება? უკიდურეს შემთხვევაში თუ მაინცა და მაინც არ“ალიშლიან, ისევ საკობს გამგეობამ და დასმა სწრაფად ანგარიში გასწორონ, არტისტების სრული დაკმაყოფილებით და დამოუკიდებლივ იმუშაონ. დასი თავისით შეეცდება ამხანაგობა შეჰქმნას და დრო-გამოშვებით დასდგას პიესები, ტოტა, მაგრამ კარგა, ვიდრე რეგულიარულად და აჩქარებული სახით, რასაც არც რეჟისორები და არტისტები უარჰყოფენ: „ჩვენ რა გვსთ, როდესაც წარმოდგენა ურეპეტიციოდ მოგვიხდაო!“ მაგრამ საზოგადოებამაც რა ჰქნას, თუ გაფუჭეკილი ჯიბიდან ორ გროშს გაიღებს და იმის საფასურსაც არა ნახავს?

დიოგენი.

„გადაჭრილი მუხა“ ქუთაისში.

ბევრი რამ გვინახავს უნიჭო, უაზრო და თავხედური, მაგრამ ის რაც ქუთაისის თეატრში ვნახეთ 30 დეკემბერისთვეს—ეოველ საზდვარს იეო გადაცილებული. ქართულმა დასმა წარმოადგინა „გადაჭრილი მუხა“ ბ-ნ შალიკაშვილისა. რამდენადაც კარგი რეჟისორი და გვარიანი, შეგნებული არტისტია ბ-ნი შალიკაშვილი, იმდენად უგბილო და შესაბრალისი,როგორც „დრამატურგი“ ?!). გადაჭრილ მუხაზედ წინადაც გვქონდა შენიშვნა, მაგრამ მკითხველმა თავისი თვალით უნდა ნახოს ეს მუხა ქუთაისში, რომ დარწმუნდეს სადამდის მიდის ადამიანთა უტეფერობა. ეს პირდაპირ მ სხარად აგდებაა ქუთაისის საზოგადოებისა და ჩვენ გვეკვირს, რომ ასეთ უპატრონო მდგომარეობაში ჩ ვარდნილა, რომ ეოველ რეჟისორს შეუძლიან თავისი ნიღაბი შესთავაზოს. მაგრამ გადავიდეთ თვით პიესაზე და მის წარმოდგენაზედ. ამ პიესის დადგმას კიდევ აზრი ჰქონდა პირველ ხანებში, როცა იგი დაიწერა, ან უკეთ, გადაიწერა და შეეოწიწდა საგაზეთო ფელეტონებისა, წერილებისა და შაბლონად გადაქცეულ აზრებისაგან. იმ აზრებისაგან რომ ინტელიგენცია უნდა სოფელს დაუბრუნდეს, თავისი მამული დაამუშაოს და გაუიდულიც დაიბრუნოს. ეს პატეგსადები აზრები გაზეთში, რადაც უშნო, უადგილო და უნიათო დაპარაკად არის გადაქცეული შალიკაშვილის პიესაში. მთელი საათობის განმავლობაში, მაყურებელი ისმენს „რაცეებს“ და კი ვერა ხედავს ვერც მოქმედებას, ვერც კვანძს, ვერც მსვლელობას, ვერც დასკვნას პიესისას. შალიკაშვილს მოუგონებია იმისთანა ტიპები, რომელიც უეჭველია მარტო მას უნახავს და ისიც საქართველოში კი არა, არამედ... მოსკოვის სამხატვრო თეატრში და..

ჩეხოვის პიესებში, მაგრამ ვაი ამ სატოდობას: ნახვასაც ხომ ჭეუა სჭირია. ძნელი წარმოსადგენია იმაზედ უნიჭოდ შეხანხლილი ადგილები პიესაში, როცა მაგ. „კატოს კამოჭეავს“ გუბერნატორის სადილიდან მასპინძელი და ერთ საათს ეარშიეება ბაღში. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ დროს გუბერნატორს პირში ჩაუდვია დოშის ნაჭერი ან კამეჩის ხორცი და ღეჭავს, ღეჭავს იმ დროიდის, სანამ ბ-ნი შადიკაშვილი მოარშიეე „წეეილს“ თავის საქმეს გააკეთებინებს, დაადეჭვინებს საკმაო უაზრო სიტეეებს და ნებას მისცემს გუბერნატორთან შესვლისას. ეოვლად მოკლებული უნდა იეოს ადამიანი არამცოუ მხატვრულს ნიჭს, უბრალო ადღოსაც, რომ საზოგადოებას აატანინოს ისეთი ტვირთი, როგორიც არის მაგალითად რ. ერისთავის მთელი ლექსი „სამშობლო ხევსურისა. ეს დიდებული ნაწარმოები სრულიად უადგილოდ ჩაოწიწებული პიესაში და ჰატარა შეგირდის პირით ნათქვამი **თავიდან ბოლომდე**, რალაც უხერხულობასა ჭბადებს მაეურებელში: ერთის მხრით მშვენიერი სიტეეები და მეორე მხრით მათი უმოქმედო სიტეეიერება არტისტებსაც და საზოგადოებასაც არცხვენს. არა ნაკლები უნიჭობით არის შეთხზული სხვა ადგილებიც და ნამეტნავად ის ადგილი, როცა უმაწვილი ჩინოვნიკი ცაცა (დმერთო შეგეტოდე, ასეთი არსად შეგვხვედრია) სიეეარულს უცხადებს გარეენილ კატოს, რომლის მსგავსი მთელ საქართველოში მხოლოდ შადიკაშვილის გონებაში შეიძლება იეოს, თუ ამ უკანასკნელსაც საქართველოს ეარგლებში მოვაქცევთ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელია უნიჭობის აპოგეის ვაღწევთ უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც ეველა მოქმედი პირი, ავტორი, ქალი, კაცი ბავშვი და ბებერი, თვით რუსის მეეიკიც კი ეველანი დაპარაკობენ „გადაჭრილ მუხაზედ“, ეველანი ღეჭვენ ერთსა და იმავე ადგილს, ეველანი თითით, ეოხით, ხელით, ფეხით და რითაც გნებავთ უთითებენ მუხის კუნძზედ და აგონებენ მაეურებელს, ერთი-ერთმანეთს და ავტორს, რომ ეს არის სამშობლო საქართველოს ცხოვრებისა. მუხის ძირი, ფესვები, ტოტები ძველი და ახალი, მუხის ქერქი, გული, ფოთოლი და მგონი ფოთლის ძარღვებიც არ გადარჩა შადიკაშვილს შეეშინებოდა, რომ „იდიოტად დასახულ“ საზოგადოებას არ ეგონოს რომ „გადაჭრილი მუხა“ რალაც სხვა არის—არა—ეს ნამდვილი საქართველოს ბედის სიმბოლოა, მისი დამასურათებელი კუნძი. ასეთი გადაჭარბებული დაპარაკი და კიდევ დაპარაკი მუხის მნიშვნელობაზედ, მის დარგვაზედ, გაზრდაზედ, შეეედვაზედ და სხვა საეკეთესო მაჩვენებელია ამ უშინაარსობისა, რომლის შეკრებასაც ავტორი ებრძოლა ავტორი ებდიტისტიკის ნაგლეჯებიდან.

დასასრულ ორიოდე სიტეეა წარმოდგენაზედ. დიდი და ნიჭიერი არტისტი ვ. მესხიშვილი (ლევან), ღვთის ნაბერწკლიანი იშხნელი (მოურავი), თვით შეგნებული და გაწვრთნილი შადიკაშვილი (გოდა) ერთის მხრით,—და ნიჭიერი, მაგრამ ეწვრთნელი დავითაშვილი (კატო), დამსახურებული გუნია (დეორნიკი და თავადი). შესმენილ ნიჭიერი მგალობლიშვილი (ცაცა) და ეოვლად უბადრუკი და სცენაზედ არ გამოსაშვები მარგარიტა გოგოლაშვილისა (გოდას ცოდი)—მეორეს მხრით,—ერთნაირად უშნო და უმსგავსნი იევნენ იმ ეალ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩააეენა ავტორმა და რეჟისორმა საზოგადოებაა წინაშე. ჩვენ გვიკვირს, ავტორის თავმოეეარეობა თუ იმდენად ძლიერია, რომ გადასძალოს დრამატიულ საზოგადოების, არტისტიულ დასის და ცალკე არტისტების სურვილი,—ნუ თუ თვით ქეთათურ საზოგადოებაში არ მოიპოვება იმდენი საპროტესტო ძალა, რომ ამ შეეფერებელ, ანტიმხატვრულ და ანტი-ესთეტიურ სიბრძნესიცრუეს გულამდვრეული პროტესტით შეხვდეს?

რაე.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე“-ზედ.

ფასი წლის ბოლომდის თვრამეტი შაური.

ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

მოიკითხეთ ყველა მეგაზეთესთან

თბილისში გ ა ზ ე თ ი

„ახალი ქართლი“

გამოდის ქ გორში, კვირაში ორჯელ—ხუთშაბათობით და კვირაობით. ცალკე ნომერი ღირს **ერთი შაური**. დაკვეთით წლის დამლევამდე ერთი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება: ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან ვიქ. მექანარიშვილთან, დოშეთის ქუჩა № 31.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა აო. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.